

ი/მ მერაბი ვასაძე

მოცვის მეურნეობის სარწყავი სისტემის
(ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაილეთი)

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი+“
დირექტორი: თ.კეკულაძე
ტელ.: 591 15 72 72

ი/მ მერაბი ვასაძე
ტელ.: 5 99 27 14 06
E-mail: mamaladzesaba24@gmail.com

ოზურგეთი 2022

შინაარსი

1. შესავალი	3
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.....	4
3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი	15
4. საქმიანობის აღწერა	15
4.1. ლურჯი მოცვის დარგვისა და მოვლის წესები.....	15
4.2. კომპანიის მიმდინარე საქმიანობის აღწერა.....	16
4.3. წყალაღება და სარწყავი სისტემა	19
5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში.....	25
5.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება	25
5.2. ხმაურის ზემოქმედება.....	25
5.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე	26
5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე	26
5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	27
5.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.....	27
5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	27
5.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	28
5.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	28
5.10. ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება.....	28
5.11. კუმულაციური ზემოქმედება	29
5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	29
დანართები	30
დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.....	31

1. შესავალი

ი/მ მერაბი ვასაძეს (ს/კ 33001005109), ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაილეთის ტერიტორიაზე, საკუთრებაში არსებულ სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N26.07.15.006) გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის პლანტაცია. მოცვის ნარგავების გაშენება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, „დანერგე მომავალი“ პროგრამის ფარგლებში.

სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად მოწყობილია წვეთოვანი სისტემა. მოცვის ნარგავების მოსარწყავად წყლის აღება ხდება უსახელო ღელედან, რომელიც ჩამოედინება მიწის ნაკვეთის აღმოსავლეთ საზღვართან.

რადგან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ.


ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	ი/მ მერაბი ვასაძე
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ოზურგეთი, ნოდარ დუმბაძის ქN1
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაილეთის ტერიტორია
საქმიანობის სახე	აგროპროდუქტების მოყვანა-რეალიზაცია
პროკურისტი	ამირან გოგუაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 27 14 06
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი+“
ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	591 15 72 72
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაილეთი
წყალაღების ობიექტი	უსახელო ღელე
მოცვის პლანტაციის განთავსების ადგილი	სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკ. კოდი N26.07.15.006
საპროექტო წყალაღება (მაქსიმალური)	30 მ ³ /სთ
რწყვის მეთოდი	წვეთოვანი სისტემა

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა


ი/მ მერაბი ვასაძის მოცვის პლანტაცია განთავსებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაილეთის ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთი N26.07.15.006 - ფართობი 125 003 მ².

ნაკვეთის გეგმა მოცემულია ნახაზზე 2.1.

ნახაზი 2.1. ნაკვეთის გეგმა



ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია N2.2. ნახაზზე და N2.1. ცხრილში.



ნახაზი 2.2.


ცხრილი 2.1.

N	GPS კოორდინატები	
	X	Y
1.	250198	4649491
2.	250452	4649607
3.	250460	4649596
4.	250478	4649556
5.	250477	4649530
6.	250492	4649484
7.	250527	4649477
8.	250530	4649462
9.	250528	4649446
10.	250540	4649434
11.	250565	4649427
12.	250589	4649432
13.	250649	4649381
14.	250662	4649383
15.	250692	4649375
16.	250713	4649335
17.	250760	4649319
18.	250750	4649294
19.	250750	4649267
20.	250756	4649249
21.	250775	4649228
22.	250797	464 9213
23.	250808	4649189
24.	250809	4649166
25.	250824	4649141
26.	250778	4649109
27.	250778	4649082
28.	250769	4649063
29.	250740	4649038
30.	250728	4649038
31.	250721	4649061
32.	250713	4649081
33.	250688	4649118
34.	250611	4649192
35.	250550	4649230
36.	250423	4649280
37.	250335	4649338
38.	250321	4649392
39.	250303	4649416
40.	250230	4649474

მოცვის პლანტაციის მიწის ნაკვეთი მდებარეობს ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს. მიწის ნაკვეთს ირგვლივ ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ნაკვეთი შემოღობილია ეკლიანი მავთულით. გრუნტის გზა შემოდის სამხრეთ საზღვართან და შუა ნაწილში დასავლეთით.

უახლოესი დასახლებული პუნქტი განთავსებულია ნაკვეთის სამხრეთით სოფ. ოზურგეთი, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 340 მ-ით.

ნაკვეთის გათავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზზე 2.3.



ნახაზი 2.3

საავტომობილო გზის ორივე მხარეს დარგულია წიწვოვანი ჯიშის ხეები. გზის მეორე მხარეს გაშენებულია მოცვისა და ჩაის პლანტაციები.



სურათი 2.1. ოზურგეთი-ნინოშვილის
საავტომობილო გზა, ხედი ტერიტორიის
დასავლეთით



სურათი 2.2. ი.მ. მერაბი ვასაძის მოცვის
პლანტაცია, ხედი ტერიტორიის ჩრდილოეთით




სურათი 2.3. ხედი ტერიტორიის სამხრეთით



სურათი 2.4. ხედი ტერიტორიის აღმოსავლეთით

უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, უსახელო დეღე ჩამოედინება მიწის ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე (სურათები 2.5. და 2.6.), ტერიტორიის სამხეთით 420 მ-ის დაშორებით გაედინება მდ. სკურდუმში. უახლოესი საავტომობილო გზა მიუყვება მიწის ნაკვეთის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს, საზღვრიდან დაშორებულია 12-15 მ-ით. (ნახაზი2.4)



ნახაზი 2.4.



სურათი 2.5. უსახელო ღელე



სურათი 2.6. უსახელო ღელე

სოფლის ტერიტორიის რელიეფი მთა-გორიანია. განსახილველი მიწის ნაკვეთი მდებარეობს ბორცვზე, ისე რომ ნაწილი დასავლეთ და ნაწილი აღმოსავლეთ ფერდზეა. მოცვის ნარგავები გაშენებულია სამხეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ფერდზე, სულ 6 ჰა-ზე (სურათი 2.7.). მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილი აუთვისებელია, დაფარულია ბუჩქნარით. მიწის მფლობელის მიერ არ იგეგმება აღნიშნული ფართობის ათვისება.



სურათი 2.7. მოცვის პლანტაცია

უსახელო ღელე სათავეს იღებს სოფ. ბაილეთის ტერიტორიაზე რამდენიმე წყაროს (სურათები 2.8.-2.11.) შეერთებით, ზღვის დონიდან 121 მ-ზე. ღელე ჩამოედინება ფერდობების ძირში, წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების წყალშემკრებს.



სურათი 2.8. N1 წყარი



სურათი 2.9. N2. წყარო




სურათი 2.10 წყარო N3



სურათი 2.11. წყარო N4

ნახაზი 2.5.



იკვებება მიწისქვეშა და ატმოსფერული ნალექების წყლებით. შესართავამდე მასში ჩადინება რამდენიმე წყაროს წყალი (მათ შორის მერაბი ვასაძის მიწის ნაკვეთიდან (ნახაზი 2.5. სურათი 2.12)). ღელის სიგრძე 2200 მ-ია. წალშეკრების აუზის ფართობი 1 305 000 მ². მოედინება

დაუსახლებელ ტერიტორიაზე, უერთდება მდ. სკურდუმს მარჯვენა სანაპიროდან, ზღვის დონიდან-74 მ-ზე, შემდეგ GPS კოორდინატზე x-250948, y-4648680 (ნახაზი2.6).


დელის საშუალო ხარჯი მოცვის პლანტაციასთან 15 ლ/წმ-ია.



სურათი 2.12. წყარო პლანტაციის ტერიტორიაზე




სურათი 2.13. დელე პლანტაციის საზღვართან x-250624, y-4649398.



სურათი 2.14. დელე პლანტაციის საზღვართან x-250730, y-4649932.

ნახაზი 2.6. უსახელო დელე



3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

ი/მ მერაბი ვასაძის მოცვის პლანტაციის მუშაობის რეჟიმი სეზონურია. ნარგავების მოვლა იწყება გაზაფხულიდან და მიმდინარეობს ოქტომბრის ბოლომდე. სამუშაოები იწარმოებს დღის საათებში. დღეში 8 -საათი.

პლანტაციის მოვლა-პარტონობისათვის საჭიროა მუდმივი და დროებითი მუშახელი. მუდმივი თანამშრომლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს 3 კაცს, წლის განმავლობაში უზრუნველყოფენ პლანტაციების მეთვალყურეობას და საჭირო აგრო სამუშაოების დაგეგმვას, რომელიც პერიოდულად სრულდება დროებით დაქირავებული თანამშრომლების მიერ.

ძირითადი მუშახელი საჭიროა მოსავლის აღების პერიოდში, რომელთა რაოდენობა დღიურად შეასძლებელია იყოს 20-30 ადამიანი. მოსავლის აღების პერიოდი იწყება მაისიდან და გრძელდება სექტემბრამდე.

როგორც მუდმივი, ისე დროებითი თანამშრომლები იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 8 საათიანი სამუშაო დღით.

4. საქმიანობის აღწერა

4.1. ლურჯი მოცვის დარგვისა და მოვლის წესები

ლურჯი მოცვი ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა საქართველოსთვის, რომლის დანერგვა თავის პოზიტიურ როლს ასრულებს ადგილობრივი ფერმერების წარმოების და შემოსავლების ზრდის კუთხით.

ლურჯი მოცვი ყინვაგამძლე, ბუჩქოვანი, კენკროვანი კულტურაა, რომელიც იძლევა ლურჯი ფერის მრგვალ ნაყოფს. ვერ იტანს გვალვას. ხასიათდება მაღალი მდგრადობით დაავადებების მიმართ. მაღალი კვებითი და დიეტური თვისებების გამო, იგი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში და მომხმარებელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ლურჯი მოცვის დარგვა შეიძლება, როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზეც. ყვავის მაის-ივნისის თვეში, ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში. შეიცავს C ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, გამოიყენება კულინარიაში, ხალხურ მედიცინაში, აქვს ანტიოქსიდური თვისებები. მოცვი სიმაღლეში 2 მეტრამდე იზრდება.

ლურჯი მოცვი გაშენებისათვის მოითხოვს ტენიან, მსუბუქ და კარგი დრენაჟის მქონე სპეციფიკურ ნიადაგს. იგი კარგად ხარობს მხოლოდ მჟავე ნიადაგებზე, ანუ იმ ნიადაგებზე, რომელიც რეკომენდებულია ჩაის გასაშენებლად.

ნიადაგის ოპტიმალური pH მაჩვენებელი უნდა იყოს 4.0-დან 5.0-მდე, დარგვის წინ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება ხდება ნიადაგის ზედაფენაში ნახერხის, კომპოსტის ან ტორფის შერევით.

გაშენებამდე 1 წლით ადრე ნიადაგი უნდა მოიხვნას 40-50 სმ-ის სიღრმეზე. შემდეგ ჯვარედინად გადაიხვნას 30-35 სმ-ის სიღრმეზე, დაიფარცხოს და დაიგემოს. ლურჯი მოცვის გაშენება, როგორც წესი ხდება ბაზო-კვლების (სფერული) სისტემით.

ნერგების დარგვისას მცენარის ფესვთა სისტემა მთლიანად უნდა მოთავსდეს ნიადაგში, მოიტკეპნოს და მოირწყას.

ნერგის დასარგავად, საჭიროა მომზადდეს ორმოები, რომელთაც ექნებათ არანაკლებ 30 სმ. დიამეტრი და 40 სმ სიღრმე.

რიგთაშორისებში დაშორების მანძილი უნდა იყოს 3-3,2 მ. ხოლო რიგებში მცენარეთა შორის დაშორება 0,9-1,2 მ.

ასეთნაირად გაშენებულ მოცვის პლანტაციებში პირველ სამ წელიწადს მცენარის გამოკვება ხდება წინასწარ მომზადებული მინერალური სასუქების ნაზავით. ნაზავის თანაფარდობა შემდეგნაირია: ამონიუმის სულფატი 90 გრ, სუპერფოსფატი 110 გრ, და კალიუმის სულფატი 40 გრ.

ასეთნაირად მომზადებული ნაზავი შეაქვთ ნერგის ირგვლივ შემდეგი ოდენობით: ერთ წლიან ბუჩქზე ერთი სუფრის კოვზი, ორ წლიანზე ორი სუფრის კოვზი, სამ წლიანზე სამი სუფრის კოვზი, ოთხ წლიანზე ოთხი სუფრის კოვზი, ხუთ წლიანზე რვა სუფრის კოვზი, ექვსწლიანზე და მეტი ასაკის ბუჩქზე კი თექვსმეტი სუფრის კოვზი. ერთი სუფრის კოვზის ასეთის ნაზავის წონა შეადგენს 10 გრ-ს.

ვეგეტაციის პერიოდში გამოკვება ასეთი ნაზავით ხდება ორჯერადად, ადრე გაზაფხულზე მცენარის მასიური ყვავილობისას და ნაყოფის გამონასკვის შემდეგ. სასუქის მიღების შემდეგ სასურველია მცენარე მოირწყას. თუ პლანტაციაში წვეთობრივი მორწყვის სისტემა მოქმედებს, ამ ნაზავის მცენარესათვის მიწოდება შეიძლება მორწყვასთან ერთად.

მორწყვა უნდა მოხდეს კლიმატის მიხედვით დაახლოებით კვირაში ერთხელ, ერთ ძირ ნერგზე ყვავილობამდე 2.5-2.7 ლიტრი, ყვავილობისას 3.5, შემდეგ 3.0-3.5 ლიტრი კვირაში ერთხელ.

სრულ მსხმოიარობაში შესულ ბუჩქებს სხლავენ ისეთნაირად, რომ ბუჩქზე მივიღოთ თანაბრად განაწილებული საყვავილე ყლორტები. ამისათვის ბუჩქს აცლიან დაბალ და სუსტ ნაზარდებს, ასევე დაავადებულ და ფიზიკურად დაზიანებულ ტოტებს.

მოცვი სრულ მსხმოიარობას აღწევს 6-10 წლის ასაკში.

4.2. კომპანიის მიმდინარე საქმიანობის აღწერა

ი.მ. მერაბი ვასაძეს მოცვის პლანტაცია გაშენებული აქვს 6 ჰა-ზე. სულ დარგულია 20 000 ძირი ნარგავი. პლანტაციის გაშენება მოხდა 2021 წელს. მიმდინარე წელს ნარგავების ნაწილი მსხმოიარეა და მიმდინარეობს მოსავლის აღება.



სურათი 4.1.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, წლების წინ გაშენებული იყო ჩაის პლანტაციები. წინა საუკუნის ბოლოს პლანტაციამ დაკარგა ფუნქცია. მოუვლელობის გამო ჩაის ბუჩქები გაველურდა. ტერიტორიაზე გადავლილი იყო მაცვლის, ეკალიჭის ბუჩქები და სხვა სარეველა ბალახოვანი მცენარეები.

ი/მ მერაბი ვასაძის მიერ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, „დანერგე მომავალი“-ს პროგრამის ფარგლებში მოხდა მიწის ნაკვეთის ათვისება. მისი ნაწილის (6 ჰა) გადახვნა, სარეველებისა და ამორტიზებული ჩაისაგან გაწმენდა.

ფერდობზე, ტერიტორიის რელიეფის შესამაბისად მოწყობილია საბაზისო კვლები, რომელშიც დაფენილია აგროტექსტილი. აგროტექსტილის შიგნით ჩაყრილია წინასწარ მომზადებული ნიადაგი და მასში 1 მეტრიანი დისტანციით ჩარგულია მოცვის ნერგები (სურათები 4.2. და 4.3.). ნარგავები 1 წლისაა, უმეტესობას აქვს ნიშანი.



სურათი 4.2.

სურათი 4.3.

კომპანიის მიერ ხორციელდება ნარგავების მიმდინარე აგრო სამუშაოები, რომელიც მოიცავს ბალახებისა და სარეველებისაგან გაწმენდას, საჭიროების შემთხვევაში სასუქების შეტანას და შეწამვლას. სამუშაოები მიმდინარეობს ხელით და მცირე ტექნიკის გამოყენებით (სურათი 4.4.).



სურათი 4.4.

მოცვის პლანტაციის მოვლის წესების შესაბამისად აგროსამუშაოების პარალელურად, საჭიროა პლანტაციის პერიოდული მორწყვა, რისთვისაც მოწყობილია წვეთოვანი სისტემა.

მიწის ნაკვეთზე მიყვანილია ელექტროენერგია, მოწყობილია დაცვის ჯიხური და განათება. პლანტაციის გეგმა მოცემულია ნახაზზე 4.1.



ნახაზი 4.1.

4.3. წყალაღება და სარწყავი სისტემა

მოცვის პლანტაციის მორწყვის მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია ტერიტორიის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვართან არსებული უსახელო ღეღედან. ტერიტორიაზე მოწყობილია წყალმიმღები გუბურა, რომლის გვედითაც დადგმულია მსუბუქი კონსტრუქციის, ლითონის პროფილირებული ფურცლის სატუმბი სადგურის შენობა (სურათი 4.5. და 4.6.).




სურათი 4.5. სატუმბი სადგურის შენობა



სურათი 4.6. წყალმიმღები გუბურა და ტუმბო

წყალაღება ხდება გუბურადან შემდეგ GPS კოორდინატზე: X-250813;Y-4649207. (სურათი 4.6)
წყალმიმღები გუბურა მოწყობილია ღელის კალაპოტში, მისი მოცულობა შეადგენს 600 მ³-ს.
წყალაღება ხდება 100 მმ-იანი დიამეტრის მილით, რომლის სიგრძე შენობამდე 12 მეტრია.
სატუმბი სადგურის შენობა განთავსებულია პლანტაციის ტერიტორიაზე.
გუბურისა და წყალაღების წერტილის მდებარეობა მოცემულია ნახაზზე 4.2.



ნახაზი 4.2.

ტუმბოს საშუალებით წყალი მიეწოდება ფილტრს (სურათი 4.7), რომელიც 63 მმ-იანი მილებით დაკავშირებულია გამანაწილებელთან, რომელიც უშუალოდ უერთდება წვეთოვანი სისტემის მილგაყვანილობას. სისტემის ცენტრალური მილგაყვანილობა 63 მმ დიამეტრისაა, პერიფერიული მილგაყვანილობა 16 მმ-იანია, ყველა მილი განთავსებულია მიწის ქვეშ. სისტემით წყალი მიეწოდება აგროტექსტილის ქვეშ მოთავსებულ ნიადაგს, ისე რომ მოხდეს მისი დატენიანება და არ წარმოიქმნას გამონაჟონი.



სურათი 4.7.

სარწყავი მილგაყვანილობა გაყოფილია 3 სისტემად, წყლის მიწოდება თითოეულზე ხდება გამანაწილებელი სისტემით, რომელიც მოწყობილია შენობის შიგნით (სურათი 4.8.)



სურათი 4.8

შენობაში გამანაწილებელის თავზე განთავსებულია თითოეული მიმართულების სქემა (სურათი 4.9.). მათდგან პირველის სიგრძე 340. მ-ია, მეორეს სიგრძე 630 მ. მესამეს სიგრძე 535 მ.



სურათი 4.9.

მილგაყვანილობა მოწყობილია და განთავსებულია მიწისქვეშ. მისი მოწყობა განხორციელდა ნარგავების დარგვამდე, საბაზისო კვლების მოწყობის პარალელურად.

წყლის მიწოდების მაქსიმალური მოცულობაა 30 მ³/სთ. ოპერატორის მიერ რეგულირდება მოსარწყავი ტერიტორიების თანმიმდევრობა. მთლიანი პლანტაციის ერთჯერად მორწყვას ესაჭიროება 90 მ³ წყალი. მთლიანი ფართობის მორწყვის ხანგრძლივობა შეადგენს 3 საათს.

არსებული პრაქტიკით, მორწყვის მაქსიმალური სიხშირე შესაძლებელია იყოს ყოველ მე-3 დღეს.

სატუმბო სადგურში დადგმულია 30 მ³/სთ წარმადობის “დომაკის“-ფირმის ტუმბო. სურათი 4.10. და 4.11.



სურათი 4.10.



სურათი 4.11.

პლანტაციის რეგულარული რწყვისათვის საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 30 მ³/სთ. თვის განმავლობაში მოწყვის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს თვეში 10. საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს: 90 მ³/დღ. 900 მ³/თვ. პლანტაციის მორწყვა საჭიროა აგროსამუშაოების დროს, თბილ და მშრალ სეზონზე, წელიწადში 6 თვე. საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 5400 მ³/წელიწადში. თვეების განმავლობაში აღებული წყლის რაოდენობები ათას მ³-ში მოცემულია ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1

წყლის ხარჯი, ათასი კუბ.მ						
მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	სულ
0,9	0,9	0,9	0,9	0,9	0,9	5,4

რწყვის პროცესი არ ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. რადგან მოცვის ნარგავებისათვის არ არის სასარგებლო ჭარბი წყალი, მორწყვა უნდა მოხდეს ისე, რომ აგროტექსტილის შიგნით ნიადაგი დატენიანდეს ზომიერად.

ამდენად, პლანტაციის სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის შედეგად ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია არ ითვალისწინებს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროების მოწყობას, ხმაურის წარმოქმნა-გავრცელებას, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას. ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ წყალაღებით. მიუხედავად ამისა მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია ყველა შესაძლო მიმართულებით.

5.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი არ არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების არსებობა, შესაბამისად მისი მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერზე რაიმე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.2. ხმაურის ზემოქმედება

წვეთოვანი სისტემის მილგაყვანილობის მოწყობა მოხდა პლანტაციის გაშენების პარალელურად. სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული ტექნიკის გამოყენებასთან.

ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის ამოღება გუბურადან ხდება დაბალი წარმადობის ტუმბოს საშუალებით, რომელიც განთავსებულია დახურულ სათავსოში. ტუმბოს მაქსიმალური ხმაურის დონე 60 დბ-ია. უახლოესი მოსახლე დაშორებულია 340 მ-ით. ხმაურის დაბამი დონისა და დაშორების გათვალისწინებით გაანგარიშებული იქნა უახლოეს მოსახლებზე ხმაურის მნიშვნელობა:

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად საანგარიშო წერტილში ხმაურის დონის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r/1000 - 10lg\Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 60 დბა.

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე 340 მ;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას; $\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ - სამ წიბოიან კუთხეში;

ბ- ატმოსფეროში ბგერის მიღვეადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით საცხოვრებელ ზონასთან ხმაურის დონე იქნება:

$$L=60-15lg340+10 lg2-10,5x340/1000-10 lg12,56 =10,47 \text{ დბა}$$

როგორც გაანგარიშებიდან ჩანდ ტუმბოს ხმაური დასახლებულ პუნქტამდე ვერ მიაღწევს, ამდენად ხმაურზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია ლანდშაფტზე ზემოქმედებას ვერ იქონიებს, რადგან ვიზუალურ ცვლილებებს არ გამოიწვევს. სატუმბო სადგურის მსუბუქი კონსტრუქციის შენობა უკვე მოწყობილია. რომელიც პროფილირებული თუნუქის ფურცლებითაა შემოსილი. სარწყავი სისტემის მილგაყვანილობა განთავსებულია მიწაში.

რა შეეხება მოცვის პლანტაციას, მისი გაშენების ტერიტორია გასეულ საუკუნეშიც ათვისებული იყო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით, მასზე ფუნქციონირებდა ჩაის პლანტაცია. ტერიტორიის ფუნქციურმა აღდგენამ დადებითი გავლენა მოახდინა ადგილობრივ ლანდშაფტზე.

ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია. უსახელო ღელეში თევზები არ ბინადრობენ.

მოცვი მსხმოიარობის პერიოდში წარმოადგენს ფრინველების საკვებს, შესაბამისად ხელს შეუწყობს ორნითოფაუნის გამრავლებას.

შესაბამისად ლანდშაფტზე და ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

სარწყავი სისტემის მოწყობით ზედაპირული წყლის ობიექტზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია წყალაღებით.

დაგეგმილია ღელედან წყლის ამოღება 30 მ³/სთ ოდენობით, ღელეში 90 მ³-ის ოდენობით.

უსახელო ღელის საშუალო ხარჯი პლანტაციასთან 15 ლ/წმ-ია. საჭირო წყლის რაოდენობა 8,3 ლ/წმ, რაც საშუალო ხარჯის ნახევარს, 55 %-ს შეადგენს. თუმცა, წყალაღება დაგეგმილია გუბურადან. გუბურას მოცულობა 600 მ³-ია, აღებული წყლის რაოდენობა საერთო მოცულობის 15 %. გუბურის შევსება ხდება მუდმივ რეჟიმში.

უსახელო ღელეზე სათავიდან შესართავამდე არ ფიქსირდება სხვა წყალმოსარგებლე. ღელე არ გამოიყენება ადგილობრივების მიერ სამეურნეო მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტის წყალაღებით, ზედაპირულ წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დაბალი.

5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

ნარჩენები შესაძლებელია წარმოიქმნას პლანტაციის აგროსამუშაოების შედეგად. ნარჩენი შესაძლებელია იყოს შეძენილი სასუქებისა და ქიმიკატების შესაფუთი მასალები, რომელიც შეგროვდება დახურულ შენობაში და ყოველწლიურად, აგროსამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს.

შესაფუთი მასალები შესაძლებელია დაბინძურებული იყოს სახიფათო ნივთიერებებით, ამიტომ მისი კოდი სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესაბამისად იქნება 15 01 10*. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ასეთი ნარჩენის რაოდენობა შეიძლება იყოს 12 კგ-მდე. მისი გადაცემა შემდგომი განთავსების (ინსინერაცია) მიზნით მოხდება შპს „სანიტარი“-ზე ან/და შპს „ეკომედი“-ზე.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, პლანტაციის ტერიტორიაზე არ არის და არ იგეგმება მოეწყოს საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსო. კომპანიის მუდმივი და დროებითი მუშახელი ადგილობრივი მცხოვრებელი არიან. საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იყენებენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებს, შესაბამისად პლანტაციის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

5.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია სატრანსპორტო ნაკადებზე გავლენას არ მოახდენს, რადგან ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის სატრანსპორტო გადაზიდვებთან.

მოცვის მოსავლის აღების პერიოდში, ნაყოფის დაკრეფა ხდება სამ დღეში ერთჯერ. მოსავალი გაიტანება დილერების მიერ, დღის ბოლოს. შესაბამისად პლანტაციის ექსპლუატაციის შედეგად შესაძლებელია სატრანსპორტო გადაზიდვების მობილიზება დღეში ერთი გადაზიდვა. აღნიშნული გადაზიდვა გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადებზე.

5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

მოცვის პლანტაციის განთავსების ადგილის ერთ კილომეტრიან რადიუსში დაცული ტერიტორია არ არის განთავსებული. შესაბამისად სარწყავი სისტემის მოწყობა მასზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

პლანტაციის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციით სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მის ექსპლუატაციას არ სჭირდება დამატებითი მუშახელი, შესაბამისად გავლენას ვერ იქონიებს დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე.

რაც შეეხება მოცვის პლანტაციის ექსპლუატაციას, დადებითად აისახება ადგილობრივ სოციალურ გარემოზე. მოსავლის აღების პერიოდში დღეში დასაქმებულთა რაოდენობა 20-30 ადამიანს შეადგენს. არსებული პრაქტიკით, სოფლის მცხოვრებლები მოცვის ნაყოფის კრეფას წარმატებით ათავსებენ საკუთარ საოჯახო მეურნეობას, რაც დადებითად აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე.

პლანტაციის ექსპლუატაციისას მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

მოცვის კულტურის გაშენება დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. ლურჯი მოცვი ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა საქართველოსთვის, რომლის დანერგვა დადებით როლს ასრულებს ადგილობრივი ფერმერების წარმოების და შემოსავლების ზრდის კუთხით. საქართველოში არსებული მეურნეობებიდან მიღებული მოსავლის უმეტესი ნაწილი განკუთვნილია საექსპორტოდ, შესაბამისად დადებითად აისახება ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე.

5.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ სამუშაოებთან. მისი ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი არ არის ავარიული სიტუაციები, რასაც შესაძლებელია თან მოყვეს ადამიანების დაშავება.

მოცვის პლანტაციის აგრო სამუშაოების დროს დაბალია ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის რისკი. სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენების დროს თუ დაცული იქნება ინსტრუქციებით გათვალისწინებული წესები, მომსახურე პერსონალზე უარყოფითი ზემოქმედების რისკი ძალიან დაბალია. მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.10. ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება

სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია ნიადაგის ნაყოფიერებას აამაღლებს ლოკალურად, მერაბი ვასაძის პლანტაციის ტერიტორიაზე. ირგვლივ არსებულ ნაკვეთებზე გავლენას ვერ იქონიებს.

რაც შეეცხება მოცვის პლანტაციის ფუნქციონირების შედეგად ნიადაგის ხარისხზე ზემოქმედებას, იქნება დადებითი, თუმცა არ გაცდება კუთვნილი მიწის ნაკვეთის საზღვრებს. კომპანია აგროსამუშაოების ჩატარების დროს სასუქის დამატებას ახდენს მხოლოდ აგროტექსტილის შიგნით და მაქსიმალურად ცდილობს მისი მოქმედება არ გაცდეს ნარგავის კვებისათვის განკუთვნილ არეალს.

პლანტაციის ექსპლუატაცია გრუნტის დაბინძურებას არ გამოიწვევს, რადგან ექსპლუატაციის პერიოდში არ გამოიყენება ტექნიკა და საშუალებები, საიდანაც შესაძლებელია ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება.

ექსპლუატაციის ეტაპზე სარწყავი სისტემით ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.11. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციით პირდაპირი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელია მხოლოდ ზედაპირულ წყლებზე, წყალაღებით. განსახილველი პლანტაციის ირგვლივ განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სამხრეთით არსებულ უახლოეს მიწის ნაკვეთზე გაშენებულია ჩაის პლანტაცია, რომელსაც რწყვა არ ესაჭიროება.

გზის მეორე მხარეს გაშენებულია და მიმდინარეობს მოცვის პლანტაციის გაშენება, რომლის მორწყვაც დაგეგმილია მიმდებარედ არსებული სხვა უსახელო ღელიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ წყალაღებისათვის გამოყენებულ ღელეზე შესართავამდე სხვა წყალმოსარგებლე არ ფიქსირდება, წყალაღებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება დადებით კუმულაციურ ზემოქმედებას, აღნიშნული მოსალოდნელია დასაქმების კუთხით, ექსპორტის პოტენციალის გაზრდის კუთხით. ასევე, რეგიონში ამ მიმართულების ფერმერული მეურნეობების განვითარების კუთხით.

სხვა მიმართულებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

სარწყავი სისტემის ექსპლუატაციით, მისი განთავსების ტერიტორიის მდებარეობისა და დაგეგმილი მასშტაბის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მ/წის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 26.07.15.006**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022517292 - 15/07/2022 13:25:44

მომზადების თარიღი
15/07/2022 17:55:10

საკუთრების განყოფილება

ზონა ომურგეთი	სექტორი ბაილეთი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სახოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დამუსტავებული ფართობი: 125003.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 26.07.06.103;
26	07	15	006	

მისამართი: რაიონი ომურგეთი , სოფელი ბაილეთი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 262006002700 , თარიღი 22/09/2006

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი N228 , დამოწმების თარიღი:22/09/2006 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ომურგეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო

მესაკუთრები:

მერაბი ვასაძე ,P/N: 33001005109

მესაკუთრე:

მერაბი ვასაძე

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღადა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფინანსური პარის მერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში აღიებული მატერიალური აქტივის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი დარბეულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამუხისაგლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საინფორმაციო წლის მიმდინარე წლის 1 აპრილამდე, რის შემთხვევაში აღნიშნული ფინანსური პარა ასევე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვადლებეულების შეკრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დეკლარაციის წამდილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმერ გერბიკორიულ საბრეესტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებში და სააგენტოს აგეორამბულ პარეობის;
- ამონაწერში გვენიკური ხარეულის აღმთინის შემთხვევაში დღევიკავმზრდით: 2 405405 ან პარადლ შეიქეით განიხილი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ეხელ ხამზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თინამზრომელია მზოდან უკანონო ქეელებს შემთხვევაში დღევიკავმზრდით ეხელ ხამზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმერ საკაიხის დეკავმზრეობი მოეეწეოთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge